საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1429-03
12/09/2024

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სწავლების საბაკალავრო საფეხურის ზოგიერთი სტუდენტისთვის, შიდა მობილობის ფარგლებში, 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან საბაკალავრო პროგრამის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის №7 სხდომაზე დადგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N922-03 ბრძანების საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 11 სექტემბრის N15658-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის დანართში მითითებული სტუდენტები 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, გადაყვანილ იქნან ამავე ფაკულტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებზე ამავე დანართში მითითებული მონაცემების შესაბამისად;
2. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება გააცნოს პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ინდივიდუალურად, პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით, ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და ბილინგის - სტუდენტთა სწავლის საფასურის და საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში;
3. ბათილად იქნას ცნობილი „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სწავლების საბაკალავრო საფეხურის ზოგიერთი სტუდენტისთვის, შიდა მობილობის ფარგლებში, 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან საბაკალავრო პროგრამის ცვლილების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 10 სექტემბრის N1392-03 ბრძანება დანართით განსაზღვრულ სტუდენტთა არასწორი სიის გამო.
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი